# MoneyGram-ის ფულის მიღების პირობები

**1. შესავალი**

**1.1.** MoneyGram®-ის ფულის გადარიცხვის სერვისის („სერვისი“) მოწოდება ხდება კორპორაცია MoneyGram Payment Systems-ის მიერ (“MoneyGram”, ან „ჩვენ“) აგენტების, ავტორიზებული დელეგატების ან სხვა ნებადართული სუბიექტების („აგენტები“) ქსელის მეშვეობით. ეს პირობები, სერვისთან დაკავშირებით გამოყენებულ დოკუმენტაციასთან ერთად (როგორც განსაზღვრულია პუნქტში 1.3), რომელიც შეიძლება შეიცავდეს ან რომელსაც შეიძლება დაერთოს ეს პირობები, წარმოადგენს მთლიან ხელშეკრულებას („ხელშეკრულება“) MoneyGram-სა და თქვენს, სერვისის ინდივიდუალურ მიმღებს („თქვენ“ ან „მიმღები“) შორის.

**1.2.** წინამდებარე ხელშეკრულება და სერვისი საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ გადარიცხული ფულადი გზავნილი („გზავნილი“), რომელიც ჩვენი სერვისის გამოყენებით გაიგზავნება ფიზიკური პირის მიერ („გამგზავნი“). გზავნილი გამოგეგზავნათ გამგზავნის მიერ სპეციალურად მითითებულ ვალუტაში და სპეციალურად მითითებული ოდენობით. MoneyGram-ი არ დაგაკისრებთ გადმორიცხული გზავნილის მიღების საკომისიოს გადახდას. სერვისი თქვენთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ თქვენი ინდივიდუალური (ფიზიკური პირის) სტატუსით, რომელიც ცნობილია გამგზავნისათვის.

**1.3.** იმისათვის, რომ შეძლოთ სერვისის გამოყენება, თქვენ სრულად და ზუსტად უნდა მოაწეროთ ხელი წინამდებარე ხელშეკრულებასა და გზავნილის გადარიცხვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტაციას, მათ შორის ყველა ფორმას, ქვითარსა თუ დადასტურებას (ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „დოკუმენტაცია“)

**1.4** სერვისის ნებისმიერი სახით გამოყენების ან მისი გამოყენების მცდელობის გზით თქვენ ადასტურებთ, რომ (i) ეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, (ii) წაკითხული გაქვთ გზავნილის გადარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და რომ დოკუმენტაციაში აღწერილი ინფორმაცია არის ზუსტი, (iii) მიიღეთ აგენტისაგან წინამდებარე ხელშეკრულებაში ან/და დოკუმენტაციაში აღწერილი ვალუტა და თანხა. თუ გსურთ გადაცვალოთ გზავნილი სხვა ვალუტაში ნაცვლად იმ ვალუტისა, რომელიც აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულებაში, თქვენ ასევე ადასტურებთ და აცხადებთ თანხმობას, რომ გზავნილის ნებისმიერი შემდგომი გადაცვლა არის სერვისის ცალკე ტრანზაქცია და მასზე ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტის დებულებები.

**1.5.** გზავნილის მისაღებად თქვენ აგენტს უნდა წარუდგინოთ პირადობის მოქმედი მოწმობა. ჩვენ არ დაგვეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ გზავნილი დადგენილ დროში და დადგენილი წესით გადაიხდება ფიზიკურ პირზე, რომელიც აგენტს წარმოუდგენს პირადობის მოქმედ მოწმობას, რომელიც აღწერს ასეთ პირს, როგორც მიმღებს (თუნდაც ასეთი პირადობის მოწმობა იყოს ცრუ ან ყალბი) და მიაწვდის მას საცნობარო ნომერს.

**2. შეზღუდვები მომსახურების გაწევის კუთხით**

**2.1.** თქვენ ადასტურებთ, რომ გამგზავნმა ან MoneyGram-მა გარკვეულ პირობებში შეიძლება გააუქმონ თქვენთვის განკუთვნილი გზავნილის გადარიცხვა ნებისმიერ დროს თქვენს მიერ მის მიღებამდე და რომ ასეთ შემთხვევაში თქვენ არ გექნებათ გზავნილის მიღების უფლება.

**2.2.** სერვისი ან თქვენს მიერ გზავნილის მიღების შესაძლებლობა ასევე შეიძლება გადავადდეს, შეიზღუდოს ან მიუწვდომელი იყოს გამგზავნის მიერ არჩეული სერვისიდან, აგენტის სამუშაო საათებიდან, გზავნილის თანხის ოდენობიდან, ვალუტის ხელმისაწვდომობიდან და იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნებისადმი შესაბამისობიდან გამომდინარე, პირადობის მოწმობისადმი წაყენებული მოთხოვნების ჩათვლით. ჩვენ არ გადაგიხდით გზავნილის თანხას, თუ მიგვაჩნია, რომ გზავნილი ან სერვისი რაიმე სახით გამოიყენება მოქმედი კანონების, რეგულაციების, კოდექსების ან MoneyGram-ის პოლიტიკისა და პროცედურების დასარღვევად, მათ შორის თაღლითობასთან, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონებთან ან სხვა უკანონო საქმიანობასთან ნებისმიერი კავშირის ჩათვლით.

2.3. თუ თქვენ არ გიხდიან გზავნილის თანხას, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ MoneyGram-ს, რათა შეიტყოთ გზავნილის გადარიცხვის სტატუსი და შესაძლოა MoneyGram-ი დაგეხმაროთ - ჩვენს სერვისებთან და MoneyGram-ის პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებული ყველა მოქმედი კანონებისა და რეგულაციების გათვალისწინების პირობით.

**3. ზოგადი დებულებები**

**3.1.** თუ კანონით არ არის აკრძალული, ჩვენ ვერ დაგვეკისრება თქვენს წინაშე პასუხისმგებლობა გზავნილის გადარიცხვასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემების გამო. გარკვეულ პირობებში გამგზავნს შეიძლება ჰქონდეს გზავნილის ან/და გზავნილთან დაკავშირებით გადახდილი გარკვეული გადასახადის დაბრუნების უფლება.

**3.2.** გზავნილის გადარიცხვა და სერვისის გამოყენება არ ნიშნავს, რომ თქვენ გაგაჩნიათ „დეპოზიტი“ ან ანგარიში MoneyGram-ში ან აგენტთან.

**3.3.** სერვისები განკუთვნილია 18 წლისა და უფროსი ასაკის პირებისათვის და ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას თანხის პირობითი განთავსების მიზნებისათვის ან აზარტული თამაშებისათვის და ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ კანონიერი მიზნისათვის. წინამდებარე ხელშეკრულების ინგლისურ ვერსიასა და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ნათარგმნ ვერსიას შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება ხელშეკრულების ინგლისურ ვერსიას და MoneyGram-ი თქვენთან კავშირს დაამყარებს ინგლისურ ენაზე.
**3.4.** წინამდებარე ხელშეკრულება არ ითვალისწინებს და მიზნად არ ისახავს რაიმე უფლებების ან დაცვის საშუალებების მინიჭებას სხვა პირებისათვის, გარდა თქვენი და MoneyGram-ისა.

**4. კონფიდენციალობა და თქვენი ინფორმაციის გაზიარება; მონაცემთა დაცვა**
**4.1.** ეს შეტყობინება ეხება პერსონალურ ინფორმაციას, რომელსაც MoneyGram-ი აგროვებს თქვენს შესახებ. ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ და ვიყენებთ, დამოკიდებულია ჩვენს პროდუქტზე ან სერვისზე, რომელსაც თქვენ იყენებთ, ეს კი, მათ შორის, მოიცავს თქვენს საკონტაქტო ინფორმაციასა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს. ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენი ინფორმაცია მესამე მხარეებს, მათ შორის შვილობილ კომპანიებს, თქვენი ტრანზაქციების დასამუშავებლად, ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების თქვენთვის მოყიდვის მიზნით, თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედებების, მაგ. ფულის გათეთრების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ან იმისათვის, რომ ვითანამშრომლოთ სისხლის სამართლის ან სამთავრობო გამოძიებებთან, ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გადაცემულ იქნას შეგროვების ქვეყნის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო გადარიცხვებისა და დამუშავების მიზნით. ჩვენი კონფიდენციალობის პრაქტიკისა და თქვენი უფლებების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, ეწვიოთ ვებგვერდს: www.moneygram.com/privacy-notice.
**4.2.** იმისათვის, რომ უარი თქვათ ჩვენგან მარკეტინგული ინფორმაციის მიღებაზე, თქვენ შეგიძლიათ: (i) დააწკაპუნოთ ბმულზე „გამოწერის გაუქმება“ თქვენს მიერ მიღებული MoneyGram-ის მარკეტინგული ხასიათის ელექტრონული წერილის ქვედა ნაწილში; (ii) უპასუხოთ "MGISTOP"-ით ტექსტურ ან SMS შეტყობინებაზე; ან (iii) დაგვიკავშირდეთ მისამართზე privacyprogramoffice@moneygram.com.

**5. მომხმარებელთა მომსახურება**
ჩვენ მზად ვართ, უზრუნველვყოთ თქვენს მიერ MoneyGram-ის მაღალი ხარისხის მომსახურების მიღება. იმ შემთხვევაში, თუ უკმაყოფილო ხართ ჩვენი სერვისით ან ფიქრობთ, რომ დაშვებულ იქნა შეცდომა თქვენი გზავნილის გადარიცხვისას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ რაც შეიძლება მალე. ჩვენი საჩივრების განხილვის პროცედურის შესახებ სრული და დაწვრილებითი ინფორმაციის ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე რჩევის მისაღებად, ისევე როგორც საჩივრის გასაგზავნად შეგიძლიათ:

- ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს: www.moneygram.com და გამოგვიგზავნოთ ონლაინ ფორმა;
- გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტა მისამართზე: customerservice@moneygram.com; ან
- მოგვწეროთ მისამართზე: MoneyGram International, Konstruktorska Business Centre, 13 Konstruktorska Street, Warsaw, Poland 02-673

**6. ცალკეული ღონისძიებები**
ჩვენი სერვისის შემოთავაზების გარდა, აგენტებმა შეიძლება შემოგთავაზონ საკუთარი პროდუქტები ან სერვისები, როგორიცაა ვალუტის გაცვლა. ეს დამატებითი პროდუქტები ან სერვისები ცალკე და დამოუკიდებელია ჩვენი სერვისისაგან, ისინი შემოთავაზებულია აგენტის საკუთარი პირობებით და მათში არანაირად არ მონაწილეობს MoneyGram-ი. ამ დამატებით პროდუქტებსა და სერვისებს, სავარაუდოდ, ექნება მათთან დაკავშირებული საკუთარი მოსაკრებლები.